# საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2562 2018 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

**„იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 თებერვლის №404 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 თებერვლის №404 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა" ჩამოყალიბდეს ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე

*დანართი*

# იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა

**სარჩევი:**


თავი1: მართვის ინსტიტუციურიმექანიზმები....................4

1. კოორდინაციის მენეჯმენტისა და მონიტორინგისმექანიზმი....................4

2. კომუნიკაცია....................7

თავი2: დასაქმების ხელშეწყობა....................11

1. დასაქმებისმომსახურება სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით....................11

2. თვითდასაქმების ხელშეწყობისპროგრამა....................12

თავი3: განათლებადაგადამზადება....................14

1. პროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამები....................14

თავი4: საარსებოწყაროებისპროგრამებზეხელმისაწვდომობა....................15

დევნილთაჩართულობასაარსებოწყაროებისპროგრამებში....................15

თავი5: მონიტორინგიდაშეფასება....................19

# პრეამბულა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) არის წამყვანი სახელმწიფო უწყება, რომელიც პასუხისმგებელია იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა (შემდგომში - დევნილთა) საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაზე. ამ მიზნით, სამინისტრო თანამშრომლობს დევნილთა სექტორში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის N47 განკარგულებით დამტკიცებულ „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიას" აქვს სამი ძირითადი მიმართულება:

1) მდგრადი გრძელვადიანი განსახლების პრობლემის გადაწყვეტა;
2) დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
3) დევნილთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების, განსახლების, საარსებო წყაროების პროგრამებსა და სხვა სახელმწიფო დახმარებების შესახებ.

2014 წლის 13 თებერვალს საქართველოს მთავრობის N257 განკარგულებით მიღებულ იქნა „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგია" (შემდგომში - სტრატეგია). სტრატეგია მიზნად ისახავს დევნილებისათვის შესაბამისი შესაძლებლობების შექმნას, იმისათვის რომ, ისინი გახდნენ ფინანსურად დამოუკიდებელნი სახელმწიფოსაგან და შესაბამისად, განვითარდნენ ეკონომიკურად, სოციალურად და ფსიქოლოგიურად, სრულფასოვანი როლი შეასრულონ საქართველოს შემდგომ განვითარებაში. სტრატეგია აღნიშნული მიზნების მიღწევას შემდეგი ამოცანების გადაჭრით გეგმავს:

1) დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სექტორის ეფექტური მართვა;
2) მონაცემების მოპოვების, ანალიზის და გავრცელების ეფექტური მექანიზმის შექმნა;
3) საარსებო წყაროების პროგრამების იდენტიფიცირება, შემუშავება და განხორციელება.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ „სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს დევნილისათვის ამ კანონით განსაზღვრული უფლებების განხორციელებას, იღებს ზომებს მისი უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ - ეკონომიკური პირობების შესაქმნელად".

დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N144-ე დადგენილებით შეიქმნა სსიპ „საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო" (შემდგომში - სააგენტო). დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისა და ინტეგრაციის მიზნით, სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, შეიმუშავებს და ახორციელებს დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნობრივ პროექტებსა და პროგრამებს, ასევე აფასებს მიღწეულ შედეგებს.

2017 წლის დეკემბრის თვის მონაცემებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია 278,103 დევნილი, რომელთაგან 16,3% არის პენსიონერი და 28,2% არასრულწლოვანი. ეკონომიკურად აქტიური დევნილი მოსახლეობა წარმოადგენს 68%-ს[1]. საშუალოდ, დევნილების დასაქმების მაჩვენებელი დანარჩენ

[1] გამოთვლილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით.

მოსახლეობასთან შედარებით ნაკლებია[2]. დევნილებს, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან საჭიროებენ დახმარებას ინტეგრაციის მიმართულებით. განსხვავებული საჭიროებები გააჩნიათ და აღნიშნული ძირითადად საარსებო წყაროებსა და განსახლებას უკავშირდება[3].

იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) შემუშავდა სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამონაწილეობითი პროცესის საფუძველზე და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს მოხდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის N2721 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმისა“ და სხვადასხვა კვლევის შედეგების გათვალისწინება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგად დახმარება გაეწია 3000-ზე მეტ დევნილ ბენეფიციარს.

სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზანია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათთვის საარსებო წყაროების შექმნა. კერძოდ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები ორიენტირებულია დევნილთა განათლებისა და გადამზადების ხელშეწყობაზე; მათი დასაქმებისა და თვითდასაქმების მაჩვენებლის ზრდაზე; დევნილთათვის საარსებო წყაროების გრანტების მოპოვებაზე; სახელმწიფოში არსებულ საარსებო წყაროების პროგრამებში მათი ჩართულობის მაჩვენებლის ზრდაზე, რაც მიიღწევა მასშტაბური საინფორმაციო კამპანიის გზით, მათი დროული და ეფექტური ინფორმირებით. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები მორგებულია დევნილთა საჭიროებებზე და ითვალისწინებს სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები შეესაბამება „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიას“. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სტრატეგიის განსახორციელებლად და მისი გადახედვა შესაძლებელი იქნება საჭიროებისამებრ ყოველწლიურად.

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს N1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი ვალდებულებები ასახულია ეროვნულ სამოქმედო გეგმაში, მათ შორის, დევნილი ქალებისა და გოგონების ეკონომიკური გაძლიერება და პროფესიული განვითარება. კერძოდ, საქართველომ უნდა უზრუნველყოს დევნილი, ასევე კონფლიქტისა და ომის შედეგად დაზარალებული ქალების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ფიზიკური უსაფრთხოება; მხარი დაუჭიროს დევნილი, ასევე კონფლიქტისა და ომის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას და ხელი შეუწყოს დევნილი, ასევე კონფლიქტისა და ომის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების პროფესიულ განათლებას.

სამოქმედო გეგმის განხორციელებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საარსებო წყაროების პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და ხელშეწყობას.

ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები (შემდგომში - სსიპ-ები) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები (შემდგომში - ა(ა)იპ-ები) უზრუნველყოფენ გეგმაში ასახული აქტივობების განხორციელებას, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით.

---

[2] UNHCR. *INTENTIONS SURVEY ON DURABLE SOLUTIONS: VOICES OF INTERNALLY DISPLACED PERSONS IN GEORGIA, 2015*; სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების შედეგები.

[3] *იქვე.*

სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს მართვასა და მონიტორინგს უწევს სამეთვალყურეო საბჭო. ასევე სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც წარედგინება სააგენტოს მმართველ საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა,, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში (EUMM), გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), გაერთიანებული ერების მუდმივი კოორდინატორი საქართველოში (UNCT), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „პროექტი ზრდა საქართველოში“ (ZRDA) წარმომადგენელი; სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, სათათბირო ხმის უფლებით, ასევე არიან არასამთავრობო სექტორის ორი წარმომადგენელი (ერთი ადგილობრივი, ერთი საერთაშორისო), სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები შესაძლებელია მოწვეულ იქნენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სპეციფიკური საკითხების განსახილველად. სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის წესი და პერსონალური შემადგენლობა მტკიცდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

# თავი 1: მართვის ინსტიტუციური მექანიზმები

## 1. კოორდინაციის, მენეჯმენტისა და მონიტორინგის მექანიზმი

### ა) სამეთვალყურეო საბჭო

| პოლიტიკის შედეგი | აქტივობა | შესრულების ინდიკატორი | საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | პასუხისმგებელი უწყება/საagენტო | პარტნიორი ორგანიზაცია | შესაძლო რისკები | განხორციელების ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელება | სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის მართვა და მონიტორინგი; რეკომენდაციები ს შემუშავება საჭიროებისამებრ | სამეთვალყურეო საბჭოს წელიწადში მინიმუმ 2 შეხვედრა | ადმინისტრაციული რესურსის ფარგლებში | სახელმწიფო ბიუჯეტი | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უწყებები/ორგანიზაციები | სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უწყებები/ორგანიზაციები | - | 2019: I - IV კვარტლები |

## ზ) სამოქმედო გეგმის გადახედვა

| პოლიტიკის შედეგი | აქტივობა | შესრულების ინდიკატორი | საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | პასუხისმგებელი უწყება/სააგენტო | პარტნიორი ორგანიზაცია | შესაძლო რისკები | განხორციელების ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საჭიროებისამებრ სამოქმედო გეგმის განახლება | დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, სამოქმედო გეგმის გადახედვა | წელიწადში მინიმუმ ერთი შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან | ადმინისტრაციული რესურსის ფარგლებში | სახელმწიფო ბიუჯეტი და შესაბამისი ორგანიზაციების ბიუჯეტები | სამინისტრო | სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უწყებები, ორგანიზაციები | - | 2018: IV კვარტალი (შესრულებულია);<br><br>2019: IV კვარტალი |

## გ) ინფორმაციისა და მართვის სისტემა

| პოლიტიკის შედეგი | აქტივობა | შესრულების ინდიკატორი | საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | პასუხისმგებელი უწყება/სააგენტო | პარტნიორი ორგანიზაცია | შესაძლო რისკები | განხორციელების ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ ინსტიტუციური მონაცემთა ბაზის ეფექტური ფუნქციონირება | 1. სააგენტოს ვებგვერდზე საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომია სააგენტოს ვებგვერდზე | ადმინისტრაციული რესურსის ფარგლებში | სახელმწიფო ბიუჯეტი | სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) | საარსებო წყაროების პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციები | - | 2018: I - IV კვარტლები (შესრულებულია);<br><br>2019: I - IV კვარტლები. |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2. საარსებო წყაროების პროგრამებისა და მიზანმიმართული ინტერვენციების დასაგეგმად საბაზისო ინფორმაციის მოპოვება, მონაცემების განახლება და ანალიზი | საქსტატის კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებულია კვლევების გეგმა;<br><br>იდენტიფიცირებული კვლევები ჩატარებულია | ადმინისტრაციული რესურსის ფარგლებში | სახელმწიფო ბიუჯეტი | სამინისტრო | სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური | - | 2018: I კვარტალი: (შესრულებულია);<br><br>2019: IV კვარტალი. |
| | 3. საქსტატის კვლევების შედეგების ანალიზი | კვლევების შედეგები დამუშავებულია შემდეგი ცვლადების მიხედვით: განათლება, სოფლის მეურნეობა, მიწაზე ხელმისაწვდომობა, საარსებო წყარო/დასაქმება | ადმინისტრაციული რესურსის ფარგლებში | სახელმწიფო ბიუჯეტი | სამინისტრო | სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური | - | 2018: III კვარტალი (შესრულებულია);<br><br>2019: III კვარტალი. |

## 2. კომუნიკაცია

### ა) საინფორმაციო კამპანიები

| პოლიტიკის შედეგი | აქტივობა | შესრულების ინდიკატორი | საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | პასუხისმგებელი უწყება/სააგენტო | პარტნიორი ორგანიზაცია | შესამლო რისკები | განხორციელების ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ დევნილთა დროული და ეფექტური ინფორმირება | 1. სააგენტოს თანამშრომლების მიერ, საველე ვიზიტების ფარგლებში, დევნილთა დასახლებებში საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა | წელიწადში მინიმუმ 10 საინფორმაციო შეხვედრა | 2018: 3 000<br>2019: 3 000 | სახელმწიფო ბიუჯეტი | სააგენტო | - | - | 2018: I, II, III კვარტლები (შესრულებულია);<br><br>2019: I – IV კვარტლები. |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2.მოხალისეების მიერ, საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, კარდაკარ პრინციპით, დევნილთა ინფორმირებულობა საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ | წელიწადში გავრცელებულია 6,000 საინფორმაციო ბეჭდური მასალა;<br><br>ინფორმირებულთა მინიმუმ 40% არის ქალი | 2018: 25 000<br>2019: 25 000 | სახელმწიფო ბიუჯეტი,<br><br>პარტნიორი ორგანიზაციის ბიუჯეტი | სააგენტო | აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „ზრდა საქართველოში“ | დევნილთა მონაცემთა ბაზაში მითითებული დევნილთა მისამართების რეალურ საცხოვრებელთან შეუსაბამობა | 2018: I, II, IV კვარტლები (შესრულებულია);<br><br>2019: I, II, IV კვარტლები. |
| | 3. საარსებო წყაროების ფორუმები მთელი საქართველოს მასშტაბით | მინიმუმ 3 საარსებო წყაროების ფორუმი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში | 2018: 2 000<br>2019: ადმინისტრაციული რესურსის ფარგლებში | სახელმწიფო ბიუჯეტი | სააგენტო | - | - | 2018: II, IV კვარტლები(შესრულებულია) ;<br><br>2019: I – IV |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4.საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ, დევნილთათვის მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS-ების) გაგზავნა | წელიწადში გაგზავნილია 3 000 000 მოკლე ტექსტური შეტყობინება დევნილების თვის საარსებო წყაროების სხვადასხვა პროგრამასთან დაკავშირებით | 2018: 8 000<br>2019: 8 000 | სახელმწიფო ბიუჯეტი | სააგენტო | - | დევნილთა ნაწილი, რომელმაც არ აცნობა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ტელეფონის ნომრების ცვლილება, ვერ მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს | 2018: I – IV კვარტლები (შესრულებულია);<br><br>2019: I – IV კვარტლები. |
| | 5. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების უზრუნველყოფა ინფორმაციის გავრცელების საშუალებებით | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის გადაცემულია 2 000 ცალი საინფორმაციო ბეჭდური მასალა საარსებო წყაროების პროგრამებზე | ადმინისტრაციული რესურსის ფარგლებში | სახელმწიფო ბიუჯეტი | სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო ;<br><br>სააგენტო | - | - | 2019: I – IV კვარტლები |

| ბ) შიდასექტორული რეფერალური სისტემა | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პოლიტიკის შედეგი | აქტივობა | შესრულების ინდიკატორი | საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | პასუხისმგებელი უწყება/სააგენტო | პარტნიორი ორგანიზაცია | შესაძლო რისკები | განხორციელების ვადა |
| სამინისტროსა და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სერვისების ეფექტური ფუნქციონირება საარსებო პროგრამების მიმართულებით | სამინისტროს ცხელი ხაზისა და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დევნილთა მისაღები ცენტრის, ასევე მუნიციპალიტეტებისა და სერვისების სხვა მიმწოდებლების წარმომადგენლების გადამზადება/ტრენინგი საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ | ცხელი ხაზისა და დევნილთა მისაღები ცენტრის თანამშრომლები არიან გადამზადებული/დატრენინგებული, საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ;<br><br>მუნიციპალიტეტებისა და სერვისის მიმწოდებლების წარმომადგენლები არიან დატრენინგებული, წელიწადში მინიმუმ ერთხელ | ადმინისტრაციული რესურსის ფარგლებში | სახელმწიფო ბიუჯეტი | სამინისტრო;<br><br>სააგენტო;<br><br>სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო | მუნიციპალიტეტები და სერვისის მიმწოდებლები | - | 2019: I - II კვარტალი |

## თავი 2: დასაქმების ხელშეწყობა

### 1. დასაქმების მომსახურება, სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით

დასაქმების/კარიერის კონსულტირებაზე წვდომა

| პოლიტიკის შედეგი | აქტივობა | შესრულების ინდიკატორი | საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | პასუხისმგებელი უწყება/სააგენტო | პარტნიორი ორგანიზაცია | შესაძლო რისკები | განხორციელ ების ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დევნილთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდა | 1. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამაში დევნილთა ჩართვის ხელშეწყობა | სამუშაოს მაძიებელთა პროფესიულ ი მომზადება-გადამზადე ბ ისა და კვალიფიკაც იის ამაღლების სახელმწიფ ოპროგრამაშ ი ჩართულთა 7% არის დევნილი | 2018: 146 300<br>2019: 152 000 | სახელმწიფო ბიუჯეტი | სააგენტო<br><br>სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“; | სამინისტრო | დევნილთ ა დაბალი ინტერესი | 2018: I – IV კვარტლები (შესრულებუ ლია);<br><br>2019: II, III კვარტლები |
| | | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2. დასაქმების ხელშეწყობის მომსახურეთა განვითარების სახელმწიფო პროგრამაში დევნილთა ჩართვის ხელშეწყობა | დასაქმების ხელშეწყობის მომსახურეთა განვითარების სახელმწიფო პროგრამაში ჩართულთა 10% არის დევნილი | 2018: 1 500<br>2019: 14 200 | სახელმწიფო ბიუჯეტი | სამინისტრო;<br>სააგენტო | სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო" | დევნილთა დაბალი ინტერესი | 2018: II, III კვარტლები (შესრულებულია);<br>2019: I – IV კვარტლები. |

## 2. თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამა

### სახელობო იარაღებზე წვდომა

| პოლიტიკის შედეგი | აქტივობა | შესრულების ინდიკატორი | საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | პასუხისმგებელი უწყება/სააგენტო | პარტნიორი ორგანიზაცია | შესაძლო რისკები | განხორციელების ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დევნილების თვითდასაქმების ხელშეწყობა | სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის კურსდამთავრებულ დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობა, მათთვის სახელობო იარაღების გადაცემის გზით | 50-მდე დაფინანსებული ბენეფიციარი, მათ შორის 40% არის ქალი;<br><br>საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით იდენტიფიცირებულია თვითდასაქმებადი პროფესიები | 2018: 80 000<br>2019: 100 000 | სახელმწიფო ბიუჯეტი | სააგენტო | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | - | 2018: II კვარტალი (შესრულებულია);<br><br>2019: I – IV კვარტლები |

## თავი 3: განათლება და გადამზადება

### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

#### პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე წვდომა

| პოლიტიკის შედეგი | აქტივობა | შესრულების ინდიკატორი | საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | პასუხისმგებელი უწყება/სააგენტო | პარტნიორი ორგანიზაცია | შესაძლო რისკები | განხორციელების ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იძულებით გადაადგილებული პირების პროფესიული მომზადება და შრომის ბაზარზე დასაქმების გაუმჯობესებული შესაძლებლობები | სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დევნილთა ჩარიცხვის ხელშეწყობა | საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულთა მინიმუმ 6% არის დევნილი | 2018: 500 000<br>2019: 660 000 | სახელმწიფო ბიუჯეტი | სააგენტო | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;<br><br>სამინისტრო | დევნილთა დაბალი ინტერესი | 2018: I – IV კვარტლები (შესრულებულია);<br><br>2019: I – IV კვარტლები. |
| პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული დევნილი სტუდენტების მხარდაჭერა | სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული საჭიროების მქონე ყველა დევნილი სტუდენტის ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა | სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული საჭიროების მქონე ყველა დაფინანსებული დევნილის რაოდენობა;<br><br>დაფინანსებულთა 40% არის ქალი | 2018: 70 000<br>2019: 100 000 | სახელმწიფო ბიუჯეტი | სააგენტო | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | დევნილთა მაღალი მომართვიანობის შემთხვევაში შესაძლოა ბიუჯეტის გაზრდის საჭიროება დადგეს | 2018: I – IV კვარტლები (შესრულებულია);<br><br>2019: I – IV კვარტლები |

# თავი 4: საარსებო წყაროების პროგრამებზე ხელმისაწვდომობა

## დევნილთა ჩართულობა საარსებო წყაროების პროგრამებში

### ა) სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ აგროდაზღვევის პროგრამაში დევნილთა ჩართვა

| პოლიტიკის შედეგი | აქტივობა | შესრულების ინდიკატორი | საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | პასუხისმგებელი უწყება/სააგენტო | პარტნიორი ორგანიზაცია | შესაძლო რისკები | განხორციელების ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში დევნილთა მონაწილეობის გაზრდა | ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს აგროდაზღვევის პროგრამაში დევნილთა ჩართვის ხელშეწყობა | აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულია მინიმუმ 300 დევნილი | 2018: 155 100<br>2019: 107 000 | სახელმწიფო ბიუჯეტი | სააგენტო | ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო" | დევნილთა დაბალი ინტერესი | 2018: I – IV კვარტლები (ნაწილობრივ შესრულებულია);<br><br>2019: I – IV კვარტლები. |

### ბ) საარსებო წყაროების გრანტები

| პოლიტიკის შედეგი | აქტივობა | შესრულების ინდიკატორი | საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | პასუხისმგებელი უწყება/სააგენტო | პარტნიორი ორგანიზაცია | შესაძლო რისკები | განხორციელების ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| განსახლებულ დევნილთა ინტეგრაციის ხელშეწყობა | „საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვის პროგრამის“ ბენეფიციარ დევნილთათვის საგრანტო პროგრამის განხორციელება | საჭიროებები გამოვლენილია; საჭიროებაზე მორგებული საგრანტო პროგრამა შემუშავებულია; დაფინანსებულია 10 დევნილი შინამეურნეობა | 2019: 100 000 | სახელმწიფო ბიუჯეტი | სააგენტო | - | - | 2019: I-IV კვარტლები |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დევნილთა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივე ბი ს მხარდაჭერა | დევნილთა სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების დაფინანსება | დაფინანსებ ულია მინიმუმ 15 პროექტი | 2018: 100 000<br>2019: 200 000 | სახელმწიფო ბიუჯეტი; აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „ზრდა საქართველოში“ | სააგენტო | აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) – პროექტი „ზრდა საქართველოში“ | - | 2018: I – IV კვარტლები (შესრულებული ა);<br><br>2019: I – IV კვარტლები. |
| **გ) დევნილების მიერ კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობა** | | | | | | | | |
| **პოლიტიკ ის შედეგი** | **აქტივობა** | **შესრულების ინდიკატორი** | **საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი)** | **დაფინანსების წყარო** | **პასუხისმგებელი უწყება/სააგენტო** | **პარტნიორი ორგანიზაცია** | **შესაძლო რისკები** | **განხორციელ ების ვადა** |
| სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ ებ ის განვითარები ს სააგენტოს“ მიერ დაგეგმილი პროგრამები სა და კოოპერატივ ებ ის შექმნის, კოოპერატივ ებში გაწევრიანებ ის შესახებ დევნილთა ინფორმირებ უ ლობის ზრდა | დევნილთა ინფორმირება კოოპერატივები ს შექმნისა და კოოპერატივებშ ი გაწევრიანების, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ს განვითარების სააგენტოს“ მიერ დაგეგმილ პროგრამებში ჩართვის პროცედურების შესახებ | წელიწადში განხორციელ ებულია მინიმუმ ორი საინფორმაც იო ღონისძიება | ადმინისტრა ციული რესურსის ფარგლებში | სახელმწიფო ბიუჯეტი | სააგენტო | სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივე ბის განვითარები ს სააგენტო“ | - | 2018: I – IV კვარტლები (შესრულებული ა);<br><br>2019: I – IV კვარტლები |

# თავი 5: მონიტორინგი და შეფასება

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს კოორდინაციის, მენეჯმენტისა და მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმებს, რომელსაც ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პასუხისმგებლობა სამუშაო დონეზე ეკისრება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ უწყებებში დევნილთა საკითხებზე მომუშავე თანამშრომლებს, რომლებიც შეაგროვებენ მონაცემებს და მოახდენენ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო საინფორმაციო ხარვეზების იდენტიფიცირებას. სააგენტო კოორდინაციას გაუწევს მონაცემების შეგროვებას და უზრუნველყოფს ანგარიშგებას სამოქმედო გეგმის განხორციელების მიღწევებზე.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამინისტროების თანამდებობის პირები, კომპეტენციის ფარგლებში, თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტების ორგანოებთან საარსებო წყაროებთან დაკავშირებული მონაცემების ხარისხის გასაუმჯობესებლად. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამინისტროები გამოიყენებენ ადმინისტრაციულ მონაცემებს ბენეფიციარების მონაწილეობის მონიტორინგისთვის. დევნილთა სამთავრობო პროგრამებზე, როგორიც არის, მაგალითად, დასაქმების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ტრენინგები, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა და თვითდასაქმება, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულმა სამინისტროებმა უნდა წარმოადგინონ დეტალური მონაცემები.

აღსანიშნავია, რომ საჭიროებისამებრ მოხდება სამოქმედო გეგმის განახლება, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტური განხორციელება. ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შიდა სექტორული რეფერალური სისტემა გულისხმობს, სამინისტროს ცხელი ხაზისა და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დევნილთა მისაღები ცენტრის, ასევე მუნიციპალიტეტებისა და სერვისების სხვა მიმწოდებლების წარმომადგენლების გადამზადებას საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ. აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს უკუკავშირი მუნიციპალურ დონეზე, სადაც სამოქმედო გეგმის განხორციელება ახდენს პირველად ეფექტს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პროცესში სააგენტო აქტიურად ითანამშრომლებს დევნილებთან,სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სამინისტროებთან, სააგენტოებთან და მუნიციპალიტეტებთან. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მონაცემთა შეგროვების პროცესში წამოჭრილი ნებისმიერი პრობლემის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში. გამომდინარე იქიდან, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ პირდაპირი შეხება დევნილებთან, მათ აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ მიღებული გამოცდილების აღრიცხვა, უზრუნველყონ მონაცემთა შეგროვება და დევნილთა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ინფორმირება.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება შეიძლება შეფერხდეს სხვადასხვა სახის ზოგადი და კონკრეტული მიზეზების გამო. რისკების იდენტიფიცირებისა და მათი აღმოფხვრისთვის სათანადო ზომების დროული მიღება არის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესის ნაწილი და დევნილთათვის საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამების წარმატებით განხორციელების წინაპირობა.

ჯამური ბიუჯეტი - 1 469 200 ლ